სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 აგვისტო, 2026 წელი

ბრძანება №01-04/131

ბსუ-ს ბავშვის უფლებათა ცენტრის ექპერტების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №04 გადაწყვეტილების (ცვლილება - ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს 2026 წლის 27 ივლისის №07-01/31 გადაწყვეტილებით), „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ბავშვის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელად ამავე ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორ მაია ბოლქვაძის დანიშვნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 1 ივნისის №01-04/104 ბრძანების, ბსუ-ს და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის 2021 წელს გაფორმებული მემორანდუმის, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათების (№983040 28.07.2026 წ. და №1045733 13.08.2026 წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის **ბავშვის უფლებათა ცენტრის ექსპერტებად დაინიშნონ** (მათი თანხმობის გათვალისწინებით) **ბსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები** (გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ განხორციელებული „ბავშვის უფლებებში პროფესიული განვითარების პროგრამის“ კურსდამთავრებულები, ბავშვის უფლებების სფეროში პროფესიული გამოცდილების მქონე პირები):

ა) ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ლელა თურმანიძე;**

ბ) ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ლელა თავდგირიძე;**

გ) ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის **ასოცირებული პროფესორი ნატო შეროზია;**

დ) ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ლევან ჯაყელი;**

ე) ბსუ-ს იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი ქეთევან ბერიძე.**

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარის ველში „რექტორის ბრძანებები“).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, ამავე ფაკულტეტის ბავშვის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელს (მაია ბოლქვაძეს) ბსუ-ს იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტს, ბავშვის უფლებათა ცენტრის ექსპერტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**